ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №2-004877-2012
(საექსპერტო მომსახურების შესახებ)

თბილისი 11 ივლისი 2012 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში - მიმწოდებელი) ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ანა ნადირაშვილის სახით (ბიუროს უფროსის 08.06.2012 წლის №99§10 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) და მეორეს მხრივ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფ. ჭეჭლას საჯარო სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი) დირექტორის ავთანდილ აბაშიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება საქართველოს კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე – 633-ე, 636-ე – 638-ე, 642-ე – 645-ე, 647-ე – 649-ე მუხლებით; "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფებით; „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" ბიუროს უფროსის 2012 წლის 29 მაისის №91 §1 ბრძანებით; აგრეთვე ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული საექსპერტო მომსახურების გაწევა, ექსპერტის დასკვნის ან აქტის დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაცემა. კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფ. ჭეჭლას საჯარო სკოლაში შპს "მშენებელი-2004"-ს მიერ შესრულებული სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება.

მუხლი 4. საექსპერტო მომსახურების ვადა

1. მიმწოდებელი საექსპერტო კვლევას/გამოკვლევას იწყებს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მოსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ნიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება შემსყიდველის მომართვის დღიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.
3. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების აუცილებელი გონივრული ვადა ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ბიუროს მომსახურების ტარიფების №№373-378, 380-383, 389-401 კოდებით გათვალისწინებულ საექსპერტო მომსახურებაზე.